ძვირფასო ბატონო/ქალბატონო,

გვსურს, მადლობა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ მონაწილეობა მიიღეთ და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეთ ჩვენი პროექტის „სოციალური მუშაკების თანამშრომლობა სოციალური ცვლილებისთვის აღმოსავლეთ ევროპის სამეზობლო ქვეყნებში“ დახურვის კონფერენციაზე, რომელიც **2018 წლის 28-29 მარტს** თბილისში გაიმართა.

გვსურს, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, მთავრობის, სახელმწიფო უწყებების, დონორი ორგანიზაციების, აკადემიური დაწესებულებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ყველა წარმომადგენელს, რომელთაც წარმოთქვეს სიტყვა ან წარმოადგინეს პრეზენტაცია კონფერენციის თემაზე: **„სოციალური მუშაობის წვლილი აღმოსავლეთ ევროპის სამეზობლო / პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში სოციალური დაცვის სისტემების გაუმჯობესების პროცესში“.**

კონფერენციის განმავლობაში ჩვენ **გავაერთიანეთ სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ძალისხმევა,** რომლებიც სოციალური დაცვის სფეროში მუშაობენ და შევქმენით ერთიანი პლატფორმა, რათა განგვეხილა მიღწევები და გამოწვევები, რომლებიც არსებობს მიზნობრივი სოციალური მომსახურებების განვითარების, ოჯახის გაძლიერების ახალი მიდგომების შემოღებისა და სახელმწიფო უწყებებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და პროფესიულ ასოციაციებს შორის რეგიონული და ადგილობრივი თანამშრომლობის ხელშეწყობის მხრივ. **კონფერენციამ, განსაკუთრებით, ხაზი გაუსვა სოციალური მუშაკების წვლილს აღმოსავლეთ ევროპის სამეზობლო ქვეყნებში სოციალური დაცვის სისტემებისა და პოლიტიკის გაუმჯობესების პროცესში.**

პროექტის შედეგები, რომლებიც კონფერენციაზე ავსტრიის, სომხეთის, მოლდავეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენელებმა წარმოაჩინეს, გვიჩვენებს, რომ სოციალური მუშაკებისა და ასევე, მომსახურების მიმწოდებლების შესაძლებლობათა განვითარება სოციალური რეფორმების ეფექტურობის წინაპირობას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ სრულად მოხდეს აღიარება სოციალური მუშაკების, როგორც პროფესიონალების, რომელთაც აქვთ სპეციფიკური ცოდნა და რომლებიც ჩართულნი უნდა იყვნენ ყველა დონეზე, დაწყებული პოლიტიკის შემუშავებით და დამთავრებული უშუალო პრაქტიკით. კონფერენციის მონაწილეებმა, ასევე, დაასკვნეს, რომ სოციალური თანამშრომლობის სათემო ქსელები ყველა შესაბამისი მხარის ჩართულობით სოციალური, საგანმანათლებლო, სამედიცინო, უსაფრთხოებისა და სხვა სფეროებიდან ხელს უწყობს უფრო (ხარჯთ-) ეფექტური და მიზნობრივი მხარდაჭერის მიწოდებას მოწყვლადი ჯგუფებისთვის და ამასთან, სოციალური მომსახურების ახალი ფორმის ჩამოყალიბებას, რომელიც ყურადღებას ამახვილებს „სოციალურ მხარდაჭერაზე“ „სოციალური კონტროლის“ ნაცვლად და ასევე, რისკის მეტად შემცირებასა და პრევენციაზე. სოციალურ მუშაკთა ასოციაციები, რომლებიც ბოლო 10 წლის განმავლობაში აღმოცენდა სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოსა და

Funded by the European Union

WITH FUNDING FROM AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

მოლდავეთში და რომელთა მიზანია სოციალური მუშაობის პროფესიისა და განათლების ხელშეწყობა და რეგულირება, წარმოადგენენ სანდო პარტნიორებს სახელმწიფო და არასამთავრობო აქტორებისთვის სოციალური რეფორმის პროცესების მხარდასაჭერად. ეს ასოციაციები ხმას იმაღლებენ სოციალური ინკლუზიის, სოციალური სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე.

კონფერნციის ყველა მასალა (პრეზენტაციები, ფოტოები, ვიდეო სახელწოდებით „სოციალური მუშაობა სოციალური სამართლიანობისთვის“, სემინარების, სესიებისა და მრგვალი მაგიდის შეხვედრების შეჯამება და ასევე, პროექტის ბროშურა ძირითადი შედეგებითურთ) ატვირთულია ადგილობრივი პარტნიორების ვებ-გვერდებზე, რომელთა ბმულებიც ქვემოთაა მოცემული:

- საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია

  (https://www.dropbox.com/sh/xdmwtd1i3qirkph/AABxu8mG28Ar0efnsE6SLB31a?dl=0)

კონფერენცია ორგანიზებული იყო პროექტის „სოციალური მუშაკები თანამშრომლობენ სოციალური ცვლილებისთვის“ ფარგლებში, რომელსაც აფინანსებს ევროპის კავშირი და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტო. მას ახორციელებს ავსტრიული საერთაშორისო ორგანიზაცია „ჰილფსვერკი“, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციასთან, სომხეთის სოციალურ მუშაკთა ასოციაციასთან, აზერბაიჯანის სოციალური მუშაობის საზოგადოებრივ კავშირსა და მოლდავეთის რესპუბლიკის ექთნების ასოციაციასთან ერთად 2015 წლის აგვისტოდან 2018 წლის მაისამდე პერიოდში. **პროექტის მიზანი იყო სოციალური მუშაობის ცნებისა და სოციალური მუშაობის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის განვითარება და გაუმჯობესება პროექტში მონაწილე ოთხ ქვეყანაში.** პროექტის წყალობით, სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოსა და მოლდავეთში სოციალური მუშაკების ასოციაციების ორგანიზაციული შესაძლებლობები გაიზარდა და მათ, თავის მხრივ, შეძლეს საკუთარი 10.500 წევრისა და 160 ადგილობრივი ორგანიზაციის გაძლიერება. დამატებით, 15 მცირე გრანტი გაიცა 24 ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციაზე სომხეთში, საქართველოსა და მოლდავეთში. აღნიშნული საგრანტო პროგრამის მიზანი იყო კოორდინირებული მომსახურების მიწოდების გაუმჯობესება მოწყვლადი ოჯახებისა და რისკის წინაშე მყოფი ბავშვებისთვის. პროგრამამ მოიცვა 3500 უშუალო ბენეფიციარი და დაინტერესებული/ჩართული პირი.

დამატებითი კითხვების ან მოსაზრებების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტის ან ტელეფონის მეშვეობით, nino.g@gasw.org; + 995 32 2390071.

საუკეთესო სურვილებით,

ნინო შატბერაშვილი

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თავმჯდომარე

Funded by the European Union

WITH FUNDING FROM
AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION